განკარგულება:**g-63. 63243464**
თარიღი:**11/12/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ღანირში მდებარე 60000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.01.41.156) პირობიანი ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გაცემისთვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი წლიური საფასურის დადგენის შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24–ე მუხლის მე–2 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 22–ე მუხლის მე–2 პუნქტისა და 36–ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, განიხილა სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ღანირში მდებარე 60000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.01.41.156) **პირობიანი** ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისთვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი წლიური საფასურის დადგენის საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1.1. მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ **პირობიანი** ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გასცეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ღანირში მდებარე 60000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.01.41.156).

1.2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ღანირში მდებარე 60000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.01.41.156) **პირობიანი** ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის ქირის საწყის წლიურ საფასურად (ქირის საწყის წლიურ ოდენობად) განისაზღვროს 4500 (ოთხიათასხუთასი) ლარი.

1.3. **პირობიან** ელექტრონულ აუქციონზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ღანირში მდებარე 60000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.01.41.156) ბიჯის ოდენობად განისაზღვროს 500 (ხუთასი) ლარი.

1.4. **პირობიან** ელექტრონულ აუქციონზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ღანირში მდებარე 60000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის

(მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.01.41.156) საგარანტიო თანხის ოდენობად განისაზღვროს 1500 (ათასხუთასი) ლარი.

1.5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ღანირში მდებარე 60000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.01.41.156) იჯარის ფორმით სარგებლობისათვის, ქირის გადახდა განხორციელდება ყოველთვიურად.

1.6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ღანირში მდებარე 60000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.01.41.156), იჯარის ფორმით, სარგებლობის ვადად განისაზღვროს 25 (ოცდახუთი) წელი.

,,პირობად განისაზღვროს, რომ:

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ღანირში მდებარე 60000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.01.41.156), იჯარის ფორმით, სარგებლობის მომდევნო ორი წლის განმავლობაში, უნდა განხორციელდეს გრძელვადიანი ინვესტიცია, მრავალწლიანი ნარგავების (არანაკლებ ტერიტორიის ორმესამედზე) ან სხვა სამეურნეო ტიპის შენობა-ნაგებოების სახით’’.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე (დროებით მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი